**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 136 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 136

**წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


## რედაქციისაგან

**პირველ თიბათვიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია" ჰღირს 6 მან. 50 კაპ.**

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს ქალაქში 3 მან. და ქალაქ გარეთ 4 მან.

ვისაც გაზეთის ფული სრულად არა აქვთ შემოტანილი, რედაქცია სთხოვს წარმოადგინოს დანარჩენიც რომ გაზეთის გზავნა არ მოესპოს.


## მყიდველთათვის საინტერესო
## მიწა ავჭალაში

ტფილისის წყლის მილის გვერდით 19 კაპიკიდამ 1 მანეთამდე ჩორსი საჟენი. ადრესი: მიხეილის პროსპექტი, 148/B, ეჯუბოვის სახლში, შუა სართულში, საღამოს 3 საათიდამ 5-მდე. კვირაობით დილიდან საღამომდის შეიძლება დათვალიერება მიწისა ავჭალაში (მეორე ფარდული ავჭალიდამ ტფილისისაკენ).

(2—208—1).

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი** სთხოვს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ მობრძანდნენ

საგანგებო საგუბერნიო კრებაზედ,

რომელიც დანიშნულია 12 ივნისისათვის 1904 წლ. დღისით 1 საათზედ თ-დ ქობულოვის სახლებში (არშაკუნიანისეული, გრიბოედოვის ქუჩაზედ) ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის მოგების გასანაწილებლად შედგენილ პროექტის განსახილველად და დასამტკიცებლად. (3—6—3).

ვიდებ საეკლესიო **პანკელეგის სამხატვრო საქმეებს**. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ შემდეგის ადრესით: სოფელი პრიუტი, ტფილისის მაზრა, მღვდელს მელიტონ ყანჩაველს. (15—10)

გამოვიდა და იყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი** 15 კაპ.

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილის (3—3)

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი** № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. ი. ბალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ, ხუთშ. შაბათ.

**ბრ. ვ. სოგოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**გ. ს.ე ლვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ეორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ**,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა**, მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე**,—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.


ტფილისი, ივნისის 12-ს.

დღეს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა შეიკრიბება ბანკის მოგების გასანაწილებლად და სხვა მორიგ საქმეების განსახილველად. ეს კარგი შემთხვევაა მოვაგონოთ ჩვენს თავად-აზნაურობას, რომ მას ვალად აძევს ერთის საქმის დაბოლოვება, რომელიც სამი წელიწადია ელის თავის ბედ-იღბალს.

მომავალ სეკდემბერში სწორედ სამი წელიწადი შესრულდება მას აქეთ, რაც ტფილისის და ქუთაისის თავად-აზნაურობას უმაღლესად ებოძა ყოველ-წლივ 40,000 მანეთი მოზარდ თაობის სწავლა განათლებისთვის მოსახმარებლად. საჭირო იყო მხოლოდ თავად-აზნაურობას გამოეთქვა თავისი აზრი იმის შესახებ, თუ რა გზითა სცნო მან საუკეთესოდ ამ ფულის მოხმარება, საჭირო იყო ეს თავისი გადაწყვეტილება წარედგინა უმაღლესის მთავრობისათვის დასამტკიცებლად, რომ საქმეს მსვლელობა დაეწყო და ნაბოძებ ფულს შესაფერი დანიშნულება აღესრულებინა. აგერ სამი წელიწადი სრულდება, ვამბობთ ჩვენ, და აქამდის გადაწყვეტილი კი არ არის ეს საქმე, იმტ ის ოდნადაც არ არის წინ წაწეული და არავინ იცის, როდის დაბოლოვდება, რამდენი ხანი კიდევ მოგვინდება ცდა და ლოდინი? განა სამი წელიწადი ისე მცირე დრო არის, რომ ამ ხნის განმავლობაში შეუძლებელი ყოფილიყო მისი ასე თუ ისე დაბოლოვება?

მაშ, რა აფერხებს და რა აბრკოლებს საქმის დამთავრებას? ჩვენის აზრით, ერთად-ერთი მიზეზი ის არის, რომ საჭიროება მრავალია ყველა ამ საჭიროებას ეგ ფული ვერ გასწვდება და ამიტომ ყველა იმასა სცდილობს, რომ ფული მოხმარდეს მხოლოდ იმ საგანს, რომელიც თვით მიუჩნევია საუკეთესოდ. ეს არის სწორედ მიზეზი, რომ ზოგი ამ ფულის მოხმარებას სტიპენდიებისათვის თხოულობს, ზოგს საუკეთესოდ მიაჩნია ქალების სკოლის დაარსება, სხვანი გორსა და თელავში გიმნაზიების დაარსებას თხოულობენ, სამეურნეო სასწავლებელს ამჯობინებენ.

ჩვენ აზრად არა გვაქვს მომხრეობა გავუწიოთ ერთ-ერთ ზემოდ აღნიშნულ საგანს. ჩვენ მომხრენი ვართ სწავლა-განათლებისა და ამიტომ სიამოვნებით მივეგებებით ყოველ დადგენილებას, რომელსაც საგნად ექმნება ჩვენის შვილების აღზრდა, რადგანაც დარწმუნებულნი ვართ, რომ უმაღლესად ნაბოძები თანხა ამ ყველა აღნიშნულ საჭიროებას ვერ გასწვდება და თითოეული მათგანი, რომელიც უნდა ამოირჩიოს თავად აზნაურობამ, მეორეზედ ნაკლებ სასარგებლო და საჭირო არ იქმნება.

ამისდა მიუხედავად ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვათ შესახებ საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დაარსებისა. ამ სასწავლებლის დაარსება მაინც უხერხულად მიგვაჩნია, იმიტომ კი არა, ვითომც დარწმუნებული არ ვიყოთ, რაოდენად სასარგებლოა და საჭირო ასეთი სასწავლებელი. სრულიადაც არა! უხერხულად მიგვაჩნია მხოლოდ იმიტომ, რომ საშუალო სამეურნეო სასწავლებლის მოწყობას და მის წლიურ ხარჯს ბევრად მეტი ფული მოუნდება, ვიდრე თავად-აზნაურობას ებოძა და ამიტომაც, თუ მაინცა და მაინც მოინდომა თავის სურვილის განხორციელება, თავად-აზნაურობა მზად უნდა იყოს, ამ ფულს კიდევ დიდძალი ფული დაუმატოს ხოლმე ყოველ წლივ სხვა წყაროდან. საქმეც სწორედ ეგ არის, აქვს თავად-აზნაურობას შეძლება,—ეს ტვირთი ზიდოს ყოველ-წლივ დაუბრკოლებლად თუ არა? ვინც ჩვენსავით დარწმუნებულია, რომ არავითარი შეძლება არა აქვს ჩვენს თავად-აზნაურობას კისრად იდოს ეს ტვირთი, ის უეჭველად უარჰყოფს სამეურნეო სასწავლებლის დაარსებას, და კარგადაც მოიქცევა, რადგან საქმის დაბოლოვებას სწორედ ამ სასწავლებლის დაარსების სურვილი აფერხებს და აგვიანებს.

რა გზას აირჩევს თავად-აზნაურობა, მიემხრობა ჩვენს აზრს თუ არა, რასაკვირველია, არ ვიცით და არც ფიქრადა გვაქვს მაინც და მაინც უარი ვათქმევინოთ სამეურნეო სასწავლებლის დაარსებაზედ. ჩვენი სურვილი მხოლოდ ის არის, მოგვეგონებინა თავად-აზნაურობისათვის ამ, თითქმის მივიწყებულ საგნის, მდგომარეობა და გვერჩია დღესვე დაებოლოვებინა ეს ფრიად საყურადღებო საქმე, რადგანაც მეტი გაჭიანურება არც სასურველია, არც საჭირო და სასარგებლოა ჩვენთვის. დღესვე თუ არ გადაწყდა საქმე, ეგ ხომ იმისი მომასწავებელი იქმნება, რომ ერთის წლით კიდევ უნდა გადაიდოს, და განა თავად-აზნაურობა დარწმუნებული არ არის, რომ სამის წლის აწონ-გაზომვა სრულიად საკმარ.ია, აიღოს გაბედვით და საბოლოოდ გადასწყვიტოს საქმე.

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

ვაფანგოუს ბრძოლა.—ჩინელები იაპონელებს ეხმარებიან.—პორტ-არტურთან.

ეხლა ნათლად გამოირკვა, რომ გენერალ შტაკელბერგს მართლა პორტ-არტურისკენ წასვლა ჰქონია დავალებული და არა მხოლოდ მტრის ძალის გაგება, როგორც ამას წინად გაზეთები იუწყებოდნენ. გამოსაკვლევად იმოდონა ჯარი არ იყო საჭირო, რაც გენერალ შტაკელბერგსა ჰყოლია. როგორც ახალ ცნობებიდგანა სჩანს, გენერალ შტაკელბერგს მეტი ჯარი ჰყოლია, ვიდრე გენერალ ზასულიჩსა მდინარე იალუსთან და გენერალ სტესსელს ძინ-ჯოუსთან. გენერალ შტაკელბერგს, უეჭველია, განზრახვა ჰქონია ძინ-ჯოუ დაიბრუნოს და გენერალ ოკუს ლაშქარს უკანიდგან დაეცეს ქვანდუნის ნახევარ-კუნძულზე. 1 ივნისს გენერალ შტაკელბერგს ჰყოლია 33,000 ჯარის კაცი და 9,000-იც 2 ივნისს მიჰმატებია, სულ 42,000 მეომარი 102 ზარბაზნით, რომელთაგან ომში მხოლოდ 78 ზარბაზანს მიუღია მონაწილეობა.

მარშალ ნოძუს ამავე დროს, 1 ივნისს, როგორც გენერალ შტაკელბერგის მოხსენებიდგანა სჩანს, მხოლოდ 35,000 მეომარი ჰყოლია, ასე რომ ორთავ მხარეს თანაბარი ძალა იყო. რადგან გენერალ შტაკელბერგს წინადვე ამორჩეული და გამაგრებული ადგილები ეჭირა, მტერს კი იერიში მიჰქონდა, რასაკვირველია, რუსის ჯარს თანაბარის ძალით ადგილიდგან ვერ დასძრავდა და ბევრს ვერას დააკლებდა. სწორედ ესეთი შედეგი ჰქონდა 1 ივნისის ომს.

მეორე დღეს კი მარშალ ნოძუს მეტი ჯარი მიემატა, ვიდრე გენერალ შტაკელბერგს, და უპირატესობა იაპონელებს მიეცათ. 2 ივნისს მარშალ ნოძუს ჰყავდა ომის ველზე 39,600 ქვეითი ჯარი, 2,600 მხედარი და 5,000 არტილერისტი; ამას რომ საპიორებიც დავუმატოთ, სულ შესდგება 49,000 მეომარი 200 ზარბაზნით. საიდგან გაჩნდა ამ დღეს ერთი დივიზია,—ჯერ ნამდვილად არა სჩანს, საფიქრებელია, რომ წინა დღეს ძინჯოუსთან გადასხამდნენ გემებიდგან, თორემ სხვა მხარეს შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ რუსის მზვერავ რაზმებს.

თუმცა იაპონელებს მაინც და მაინც ბევრად მოჭარბებული ძალა არა ჰქონდათ, მეომართა რაოდენობა რომ მივიღოთ მხედველობაში და რუსებს მეტი კავალერია ჰყავდათ (5,000 მხედარი), ვიდრე იაპონელებს, მაგრამ [illegible]ნელების არტილერიამ გადასწყვიტა ომის ბედი. მარშალ ნოძუს, შედარებით პატარა მანძილზე გაემწკრივებინა 200 ზარბაზანი, რომლებმაც მოედანი სულ სეტყვასავით მოჰფინეს და, ეგრედ წოდებული, «ცეცხლის ქარიშხალი» ასტეხეს, რასაც საფრანგეთსა და გერმანიაში დიდს მნიშვნელობას აძლევენ და რუსეთში კი უხერხულად მიაჩნიათ. არტილერიამ საშინელება ჩაიდინა და რუსის ჯარი ძალიან დააზიანა. მხოლოდ ერთს გენერალ გერნგროსის დივიზიამ 2,125 კაცი დაჰკარგა და მათ შორის 87 აფიცერი. სულ-კი, ზოგიერთის ცნობებით, 3,000 მეომარი დაშავდა; ამ რიცხვიდგან 500 მოკლულია და 300 ტყვედ წაყვანილი. არც თუ მარშალ ნოძუს ჯარს დაეყარა ხეირი: ოფიციალურის ანგარიშით, 1000 იაპონელი დაშავებულა, მაგრამ ბევრით მეტი უნდა ვიგულისხმოთ, როგორც ამისთანა ბრძოლას შეეფერება.

ომის დროს რუსის ჯარმა თანდათან უკან დაიწია ჩრდილოეთისკენ და სადგურ ვანძიალინთან გაჩერდა. მარშალმა ნოძუმ განიზრახა რუსის ჯარი მოემწყვდია და ლიაოდუნის გზით 3 ივნისს ღამე ძლიერი რაზმი გაგზავნა კიდეც, მაგრამ გენერალმა შტაკელბერგმა შეუტყო ეშმაკობა და თავისი ჯარი გაჩქარებულის ნაბიჯით ჩრდილოეთისკენ დასწია. 4 ივნისს რუსის ჯარმა სენიუჩენთან შეისვენა (რ. ვ.)

—

ლიაოიანიდგან გაზეთ «ნოვოსტს» ატყობინებენ: 2 ივნისს, დილის 9 საათზე, იაპონელებმა ვაფანგოუსთან სროლა ასტეხეს 100 ზარბაზნით. მე-35 პოლკმა ბრძანება მიიღო, წინ წასულიყო. ამავე დროს ჩვენმა არტილერიამაც იგრიალა სამს მაღლობიდგან. მტრის ბანაკამდე 5 ვერსი იქმნებოდა. იაპონელებმა სწორედ სეტყვასავით დაუშინეს ყუმბარები ჩვენს ბატარეიას. ჩვენს 800 სროლაზედ იმათ 1,500 მოგვაყარეს. ჩვენი არტილერია 12 საათის განმავლობაში არ გაჩუმებულა. პირველ ბრიგადის მეოთხე ბატარეის არტილერისტები სულ დაიხოცნენ, ერთის აფიცრის გარდა. ნაშუადღევის 1 საათზე მტერი დაეცა ჩვენის ჯარის აგულს, რომელსაც მე-35 პოლკი შეად[illegible]ნდა. ჩვენი პირველი დივიზია წინ გაეჩქარა, რომ მტრის მარჯვენა ფრთა მოემწყვდია, მაგრამ, ვიდრე ამას მოახერხებდა, ჩვენი შუაგული შეირყა და გაბრუნდა. ამის გამო პირველი დივიზია უნდა დაბრუნებულიყო. ნაშუადღევის 5 საათზე მთლად ჩვენმა ჯარმა უკან დაიწია, მანამდე კი ყველა საწყობები გადასწვა. ბრძოლა 7 საათზე შესწყდა. ჩვენ მოგვიკლეს და დაგვიჭრეს 57 აფიცერი და 1,700 დაბალი ჯარის კაცი. ჩინელები ამბობენ იაპონელებმა 3,000 მეომარი დაჰკარგესო.

ვაფანგოუსთან 2 ივნისს ომში დაჭრილმა მე-35 პოლკის უფროსმა დევბორმუსნიცკიმ შემდეგი უამბო გაზეთ «რუსის» კორესპონდენტს:

ვაფანგოუს მივიყვანე ჩემის პოლკის ორი ბატალიონი 1 ივნისს, ღამე. დილის 5 საათზე ზარბაზნებმა იგრიალეს და ომი

დაიწყო, 8 საათზე ჩემი ბატალიონიც მოვიდა, 10 საათზე მე მივიღე უფროსობა მე-32 და მე-36 პოლკებისა, ერთის ბატარეისა და მხედართა დასისა. მე დავალებული მქონდა მტრის მარცხენა ფრთა გადამეჭრა. წინ უგზო-უკვლო მთა-გორები იყო, ზარბაზნებს ჯარის კაცები მიათრევდნენ. ჩვენ წინ მივდიოდით და ორი სერი გადვიარეთ, მესამესთან კი მტრის ზარბაზნებმა შეგვაჩერეს. იაპონელებმა ორი მხრიდგან დაგვიშინეს ყუმბარები, მაინც გავუძელით ნაშუადღევის 3 საათამდე. მაგრამ იაპონელები ჩვენის ჯარის პირს დაეცნენ და ფრთასაც დაჰკრეს. ამავე დროს მარჯვენა ფრთას უკან მოუარეს. მე შევამჩნიე, რომ ჩვენები უკან იწევდნენ და ჩემს ჯარსაც განკარგულება მივეცი, უკან დაეწია. როდესაც ჩვენი არტილერია ჩაჩუმდა, იაპონელებმა ცეცხლის სეტყვა დაუშინეს იმ ადგილებს, სადაც ჯარი უნდა დაბრუნებულიყო. თუმცა სერს იქით ვერასა ხედავდნენ, მაგრამ, ეტყობათ, ადგილ-მდებარეობა კარგად სცოდნიათ ან რუკითაც ხელმძღვანელობდნენ დ ზედმიწევნი თგვიმიზნებდნენ. ყუმბარები თავს გვევლებოდა და ნანტვრევები სეტყვასავით ედებოდა ჩვენ წინ... სასტიკი ომი იყო. ერთს ბატარეიაში აფიცრები სულ გაწყდა და დაიჭრა, უფროსს თვალი დაუშავდა.

გვარდიის პორუჩიკმა შოროხოვმა სთქვა: ჩვენს მარცხენა ფრთას სამი პოლკი შეადგენდა 12 ზარბაზნით. ჩვენ მტრის ფრთას უნდა დავცემოდით უკანიდგან. როდესაც მიუახლოვდით მტრის თხრილებს, ერთბაშად ჩვენს ზურგს უკან დაგვიშინეს ზარბაზნები. ჩვენ გვეგონა, ჩვენები არიანო, ხელსახოცების ფრიალითა და ქუდების ქნევით ვანიშნებდით, სროლა შეეწყვიტათ, მაგრამ თანდათან უფრო ასტეხეს. ბოლოს გამოჩნდა, რომ იმპონელები ყოფილან და ჩვენის ჯარის შუაგული დაუჭერიათ. ჩვენ მაშინვე უკან დავიწიეთ ვიწრო ხეობით და თან ყუმბარები სეტყვასავით გვეცემოდა. 4 ზარბაზანი დაგვიზიანდა, აფიცრები სულ დაგვიჭრეს, სამი ბატალიონის უფროსი დავკარგეთ.

თუმცა ამ ჟამად დიდი სიცხეებია სამხრეთ-მანჯურიაში და ბოლოს წვიმა ავდარი დაიჭირა და გზები სულ გააფუჭა, მაგრამ რუსის ჯარი, ორის დღის ომით მოღალული, მაინც მარჯვედ დაბრუნდა ვაფანგოუდგან. ყველა რაზმები იუწყებიან, ნაბიჯს ვერ გადავდგამთ, რომ იაპონელებმა არ გაგვიგონ. თურმე ჩინელები კვალ-და-კვალ დასდევენ რუსის ჯარს და იაპონელებს ატყობინებენ ნიშნებით. დგანან ჩინელები მაღლობებსა და მთის წვეროებზე და დაინახავენ თუ არა რუსებს, მაშინვე ერთმანეთ ანიშნებენ. თუმცა რუსები სცდილობენ შეიპყრონ საეჭვო ჩინელები, მაგრამ ვერას აწყობენ, რაკი ერთი ჩინელი მეორეს შეატყობინებს, მეორე მესამეს გადასცემს და ის კიდევ სხვას, ვიდრე იაპონელებამდე არ მიაღწევს ამბავი. რომელი ერთი უნდა შეიპყრონ რუსებმა? იაპონელებმა უკანასკნელ ომში ძალიან კარგად იცოდნენ, სად და როგორ იყო დაბანაკებული რუსის ჯარი, და იმის შესაფერად მოქმედობდნენ. ჩვენი არტილერია ან დამალული იყო თხრილებში ან სერებს ეფარებოდა და გაჩუმებული მტრის მოახლოვებას ელოდებოდა. იაპონელები-კი სწორედ ამ ადგილებს უშენდნენ ყუმბარებს, თუმცა ვერასა ხედამდნენ. ესეთი მონაწილეობა ჩინელებისა ძალიან ხელს უწყობს იაპონელებს. სწორედ ამიტომ რუსები ვერას გამხდარან. (ნ.—ვ).

—

პეტერბურგიდგან გაზეთი Matin-ს იტყობინებენ, ვითომც 27 მაისს პორტ-არტურთან ცხარე ბრძოლა ყოფილა და გენერალ სტესელი ისე მძიმედ დაჭრილა მუხლში, რომ მუხლი ჩამოუცლიათ. რასაკვირველია, ამისთანა ამბავი დასაჯერებელი არ არის. («ნოვოსტი»).

ამისთანავე ამბავს ატყობინებს National Zeitung-ს პეტერბურგელი კორესპოდენტი, ხოლო გაზეთებს არა სჯერათ.

საფიქრებელია, რომ გენერალი სტესსელი ძინ-ჯოუს შემდეგ რომელსამე ადგილას გამაგრდა და იაპონელები იძულებულნი იყვნენ კვალად იერიში მიეტანათ და საგძნობელი მსხვერპლი შეეწირათ, ხოლო, თუ სტესსელი პორტ-არტურში მოემწყვდა, ციხიდან გამოსვლას ვეღარ გაბედავდა. საერთოდ სტესელი ისე იმოქმედებს, როგორც გენერალ კუროპატკინმა დაავალა. ყოველი მისი ნაბიჯი გამოანგარიშებული უნდა იყოს და იმ განძრახვას უნდა ეთანხმებოდეს, რომ მტერი შეაფერხოს და ციხის აღება შეაგვიანოს. თუ იაპონელების ერთი ლაშქარი დიდხანს იქნება დაბანდებული პორტ-არტურთან, სხვა ლაშქრები წინ ვეღარ წავლენ გენერალ კუროპატკინის ბანაკისკენ («ნოვ.).

—

იგივე გაზეთი ამბობს: თუ იაპონელები ისე აღარ გამოიმეტებენ ჯარის კაცებს, როგორც მდინარე იაულზე და ძინ-ჯოუსთან ჩაიდინეს, მაშინ პორტ-არტურის ასაღებად დიდი ზარბაზნები დასჭირდებათ, თუ არა და პატარა ზარბაზნებსაც დასჯერდებიან და იერიშის მიტანას დააჩქარებენ, თუმცა ესეთი მოქმედება სამხედრო მეცნიერებას ეწინააღმდეგება. თუ ციხე დიდ ზარბაზნებით არ შემუსრეს და ისე აიღის იერიშით, სწორედ რომ დაუჯერებელი ამბავი იქნება.

დიდი ზარბაზნების მოტანა კი მეტად ძნელია და აქამომდე შეუძლებელიც იყო. დაგუშანი შორს არის და იქიდგან ზარბაზნების გადაზიდვას დიდ ხანს მოუნდებიან. ბიძივოში-კი უზარმაზარ ზარბაზნების გადატანა შეუძლებელია, რადგან ნაპირთან წყალი თხელია. ეხლა, შესაძლო დალნიდგან გადიტანონ ზარბაზნები, მაგრამ ნავთსადგური ნაღმით არის მოკირწყლული და რკინის გზის ლიანდაგიც სულ აშლილია. ვიდრე ნაღმს ამოიღებენ და გზას შეაკეთებენ, კარგა დრო გაივლისო (იქვე).

# ტფილისი

—

*** დღეს, 12 ივნისს, ნაშუადღევის პირველ საათზედ, დანიშნულია საგანგებო კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა.

*** წიგნის მაღაზიებისა, სტამბებისა და ბიბლიოთეკების ინსპექტორმა განუცხადა «წერა-კითხვის საზოგადოების» გამგეობას, საზოგადოების ბიბლიოთეკებში ნუ იქონიებთ სამინისტროსაგან ბიბლიოთეკებში სახმარებლად ნება დაურთველ ქართულს წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებსაო. ეს ბიბლიოთეკები ემორჩილება უფასო სამკითხველოების წესებსაო.

*** საუცხოვო ხელოვნებათა წამქეზებელი საზოგადოება ამ ზაფხულს მინერალურ წყლებზე ჰმართავს მოძრავ სამხატვრო გამოფენას. გამოფენისათვის საზოგადოება ახლავ ემზადება. გამოფენა ივლისის 15 დაიწყება.

*** სენაკის მაზრაში, როგორც გვწერენ, აბრეშუმს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს. ზოგან უკვე დაპარკებულა. ფასი კი მცირე ყოფილა: ფუთი რვა მანეთი. თუ ფასმა არ აიწია, მცხოვრებნი ძალიან იზარალებენ, რადგანაც ფოთოლი ძვირად ნაყიდი ჰქონიათ.

*** დღეს, 12 ივნისს, სახალხო თეატრში ავჭალის ქუჩაზედ კრება ექმნება ტფილისის სიფხიზლის საზოგადოებას. კრება საღამოს 8 საათზე დაიწყება.

*** ამიერ-კავკასიის საბეითალო ნაწილის გამგე პ. ი. ზოლოტარევი ბაქოს წავიდა სამსახურის საქმეთა გამო.

*** ტფილისის ქალაქის თვით მმართველობას ქალაქის ახალ საყასბოს ასაგებად 450,000 მანეთი აქვს გადადებული, შენობის აგებას კი გაცილებით მეტი სჭირდება.

*** 10 ივნისს ბაქოში, ქალაქის ბაღში მოუკლავთ მილიონერი, ნავთის მწარმოებელი არტემ ივანეს ძე ადამოვი.

*** არაგვი ძალიან მოდიდებულა და დუშეთის მაზრის რამდენსამე სოფელში ბაღები წაულეკა. წყლის გადასაცდებად ღონის ძიებანი იქმნა მიღებული, ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით.

*** საუცხოვო ხელოვნებათა წამქეზებელი საზოგადოება ამ ზაფხულს ჰმართავს ხალიჩების გამოფენას.

*** ტფილისის დედათა საპროფესიონალო სასწავლებელში გუშინ-წინ დასრულდა სწავლა. სასწავლებელი წელს 16 მოსწავლე ქალმა დაასრულა.

*** პრაქტიკულ-თეორიული კურსები მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობისა კავკასიის სააბრეშუმო სადგურში 16 ივნისს იწყება. კურსები ზაფხულის შემდეგ აღარ იქმნება.

*** ამ დღეებში კრება ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც ქალაქის საბჭოს მიერ მინდობილი აქვს გამორკვევა იმისა, ქალაქის მიწა მართლა მიითვისა ხმ. ირ. ფურცელაძემ თუ არა. კომისიამ საქმის განხილვა ამ დღესაც ვერ მოასწრო. გამოირკვა მხოლოდ ის, რომ ადგილი მითვისებულია, ხოლო როდის არის მითვისებული, ეს კი ვერ გაიგო.

*** ტფილისის ქალაქის საბჭომ ამას წინად გადასწყვიტა 500 მანეთი მისცეს ინჟენერს ალხაზოვს, რომელიც თვალყურს ადევნებდა ქალაქის ქუჩების მოკირწყვლის საქმეს. საგუბერნიო საქმეთა საკრებულომ ეს დადგენილება არ დაამტკიცა.

*** რედაქციამ მიიღო ახალი ქართული წიგნი: «რაჭა» (გზა და-გზა) სოსიკო მერკვილაძისა, გამოცემა წიგნის მაღაზიის «ცოდნ ისა». წიგნი 20 კაპ. ჰღირს.

—

შვილთა მოვალეობა მამა-პაპათადმი*).

II

წინა წერილში (ივერია, № 131) ჩვენ გამოვთქვით სურვილი, რომ დროა საქმეს შევუდგეთ, შევადგინოთ მოკლე ისტორია საქართველოს თავად-აზნაურთ წოდებისა, მათი გენეალოგია.

უპირველესი წყარო თავად-აზნაურთა ისტორიის შესადგენად და უმთავრეს მასალად ამ ისტორიისა ითვლება კეთილშობილთა წოდების საგვარეულო სიგელ გუჯრები და აგრეთვე წარწერები მათ საგვარეულო საყდრებისა, აკლდამებისა, ხელნაწერ წიგნებისა, ციხე-კოშკებისა და სხ.

«ქართველთა მატიანეში» ჩვენ უკვე განვმარტეთ, რომ ბატონიშვილი ვახუშტი, ხშირად, ამ სიგელ-გუჯრებს იხსენიებს თავისს წყაროდ, მაგალ. მათზე აფუძნებს იგი ისტორიულ ცნობებს შესახებ ბარათაშვილებისა, ამილახვართა, თუმანიშვილთა და სხ.

სიგელ-გუჯრებს უაღრესი მნიშვნელობა აქვთ არა თუ მარტო შესასწავლად კეთილშობილთა წოდების ისტორიისა, არამედ მთელის საქართველოსისაც. იგინი გვაუწყებენ ურთიერთობის განწყობილებას წოდებათა შორის, მდაბიოთა დამოკიდებულებას მებატონეთაგან და მებატონის მოვალეობას მეფისა და სახელმწიფოს წინაშე. იგინი გადმოგვცემენ, ვინ რა სამსახური გაუწია მამულს, რა ამაგი დასდო სამშობლოსა და ქვეყანას, ვინ საიდგან მოვიდა, სად დასახლდა, სად და როგორ ააგო ციხე კოშკი, რა სამსახური გაუწია ერს ამ ციხე-სიმაგრემ.

ჩვენ გვეგიშინჯავს არა ერთი საგვარეულო სიგელ-გუჯარი. მათშია მასალა ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ლექსიკოგრაფიული (მრავალი ძველი სიტყვები, ნაციონალური სახელები, საწყაოთა და საზომთა ტერმინები) და სხ. და სხ.

წარწერები საგვარეულო ციხე-კოშკებისა, აკლდამებისა და ხელნაწერებისა, ხშირად, ფრიად ვრცელია და დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ.

თავად-აზნაურთა სიგელ-გუჯრები ნამდვილი პირი (კოპიოები) დაცულია ორს უწყებაში: ტფილისის საგუბერნიო მმართველობის არხივში 87 ფოლიანტად ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთა სიგელ-გუჯარნი და ქუთაისის გუბერნიის კეთილშობილებისა 379 ფოლიანტად ქუთაისის გუბერნიის არხივში.

ეს კოპიოები მთავრობამ გადაიღო 1817-ს, 1820-ს და 1822 წელს და მერე ასლები ისევ მათს პატრონებს დაუბრუნა. ყველა ამ დოკუმენტების რიცხვი ხსენებული უწყებებში 40,000 მეტია.

ეს სიგელ-გუჯარნი უნდა მოგროვდეს და დაიბეჭდოს. წინასწარვე ვიტყვით, ეს იქნება უდიდესი და უაღრესი ძეგლი შვილებისა მათ მამაპაპათადმი, და ეს ძეგლი იქმნება უფრო მტკიცე, უფრო უხრწნელი, ვიდრე ის მარმარილოს ძეგლები, რომლებითაც ჩვენში ამკობენ მამა პაპათა საფლავებს. ამ ძეგლს უფრო განაცხოველებს, უფრო დიდი ფასი დაედება, თუ აგრეთვე მოგროვდა და სიგელ გუჯრებთან ერთად დაიბეჭდა საგვარეულო ცხე-კოშკებისა და აკლდამების წარწერები, საგვარეულო ხელნაწერებში ჩაწერილი მნიშვნელოვანი ამბები, საგვარეულო გარდმოცემანი, გვარეულობაში უფრო გამოჩენილ და დამსახურებულ პირთა ბიოგრაფიული ცნობა, საგვარეულო გენეალოგია, სურათები გვარეულობის გარდაცვალემულ თუ ცოცხალ წევრებისა, ციხე-ტაძრებისა და სხ.

*) იხ. ივერ. № 120.

---

# ფელეტონი

—

## ფიქრი და შენიშვნა.

I.

მკითხველს ეცოდინება, რომ ყოველ წლის ბოლოს რუსეთის მთავრობა საქვეყნოდ აცხადებს მომავალ წლის სახელმწიფო შემოსავალ-გასავალსა (ხარჯთ-აღრიცხვას), რომელიც, წინა წლების მიხედვითა, ვარაუდით გამოანგარიშებულია. შემოსავალში აღრიცხულია სხვა და სხვა გარდასახადი, მცხოვრებლებზე და მრეწველობაზე გაწერილი, ბაჟები, სახელმწიფო ქონება-მამულების (ტყეების, რკინის-გზების) შემოსავალი, მოგება არყით ვაჭრობისა, რომელიც რუსეთში თვით მთავრობას აქვს აღებული, შემოსავალი სახელმწიფო მამულების იჯარით გაცემისაგან ან მათი გაყიდვისაგან, ფოსტა-ტელეგრაფის შემოსავალი და სხვა. წელს ეს ხაზინის შემოსავალი ორი ათას მილიონ მანეთს (ორ მილიარდს) გადასცილდება. ამ შემოსავალთან ერთად ნაანგარიშევია ის ხარჯიც, რომლის მოხდენას აპირებს მთავრობა 1904 წლის განმავლობაში სახელმწიფოს სხვა და სხვა საჭიროებაზე: სახელმწიფო ვალში მისაცემი, ჯარის და ფლოტის შენახვაზე, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაზე, გზების გაყვანასა და მოვლაზე, სწავლა-განათლებაზე და სხვა.

რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებაზე უკანასკნელ 40—50 წლის განმავლობაში არა რას უმოქმედნია ისე მძლავრად, როგორც ამ ეკონომიურ-ფინანსიურ ზედგავლენას. და ამას არც ერთხელ არა ჰქონია იმდენი სისრულე და ძლიერება, არა დროს არ მოუტანია იმდენი ნაყოფი სახელმწიფოს ეკონომიურ ცხოვრებაში, როგორც ამ 15—20 წლის განმავლობაში, უკანასკნელ ფინანსთა-მინისტრების,— ბუნგეს, ვიშნეგრადსკის და ვიტტეს დროს. და არამც თუ რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებაზე, არამედ თვით კანონმდებლობაზედაც კი უმოქმედია ამ პოლიტიკას ფინანსთა მინისტრისას, რომელსაც ხშირად პირველობაც კი მისცემია მინისტრთა კომიტეტში შინაურ პოლიტიკის ამა თუ იმ საქმის გადაჭრაში. მაგ. ვიტტეს წინააღმდეგობა 1899 წელს ერობის შემოღებისა დასავლეთ გუბერნიებში, განსაზღვრა ერობის ხარჯთ-აღრიცხვისა და სხვ. რაა ამ გარეგან ზედ-გავლენის დედა-აზრი? როგორ ესმის ამას წარმატება ეკონომიურ ცხოვრებაში? რომელი ეკონომიური ურთი-ერთობა აქვს მიჩნეული საუკეთესოდ, ან როგორ შეეფერება ეს გარეგანი და ხელოვნური ზედ-გავლენა რუსეთის უმრავლესობას და მთელ სახელმწიფოს ინტერესს? თავის თავად ცხადია, რომ ამ საგნებთან ძლიერ მჭიდროთაა შეკავშირებული ჩვენი დიდი საქმეც: რა წილი არგუნა ამ ხელოვნურმა ზედ-გავლენამ საქართველოს მთელ იმპერიის ეკონომიურ ცხოვრებაში? როგორ მოქმედებს საქართველოზე უდამოჟნო აღებ-მიცემა რუსეთთან, თავისუფალი გაზიდ-გამოზიდვა სავაჭრო საქონლისა? რა წილი ედება ჩვენს ქვეყანას და მთელ ამიერ-კავკასიას (ეს ორი ხომ ერთი და იგივეა) სახელმწიფო ფინანსებში, რა შედის და გადის სახაზინო პალატებში: ბაქოს, ერევნის, ტფილისის და ქუთაისისაში?

ამ საკითხებს შორიდამ რომ მოვუაროთ, უფრო ახლო მივადგებით ზედ.

1854 წელს ინგლისმა და საფრანგეთმა ომი აუტეხეს რუსეთს და ყირიმს შეესივნენ. ომი გამოიწვია რუსეთის პოლიტიკამ ბალკანეთის სამთავროების და საერთოდ ოსმალეთის შესახებ. რუსეთში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ «ავად მყოფ კაცს», ე. ი. ოსმალეთს, სიცოცხლის დღეები დათვლილი ჰქონდა და რომ მის სამფლობელოს გაყოფაში უდიდესი და უკეთესი ნაწილი რუსეთს უნდა რგებოდა. ინგლის-ფრანგების ჯართა რიცხვი რაღაც 70 ათასამდე ადიოდა და მეტი არც-კი იყო საჭირო. გათავდა თავზარ-დამცემი ომი. რუსეთი გამოფხიზლდა და მიხვდა, რომ გარეშე მტრის მოსაგერებლად უპირველესი მნიშვნელობა სალდათების რიცხვს-კი არა აქვს, არამედ მთელ სახელმწიფოს ნივთიერ და სულიერ ძალას. რუსეთი კი იმ დროს ბატონ-ყმობაში იყო ჩაფლული, მის მკვიდრთა უფლებრივი და ეკონომიური ურთი-ერთობა ყოვლად უსამართლო და უვარგისი, სწავლა-განათლება ხალხისა უკიდურეს ყოფაში, ქვეყნის ნივთიერი წარმოება და ვაჭრობა მთლად დაქვეითებული, სახელმწიფო ფინანსები არეულ-დარეული და გაკოტრებაზე მისული. ომმა ეს შინაური სენი წინ დაუდო რუსეთს და დააფიქრა. ყველასათვის ცხადი შეიქმნა, რომ დრო დაუყოვნებლივ ითხოვდა შინაურ სენის განკურნებას, შინაურ ცხოვრების გაღონიერებას, რომელიც უნდა მომხდარიყო ორ გზით: მკვიდრთა უფლებრივ ურთი-ერთობაში სამართლიანობის დამყარებით და სახელმწიფოს ეკონომიურ ცხოვრებაში საწარმოო ძალთა განვითარებით. სამართლიანი ცხოვრება ყველასი და ნივთიერი გაღონიერება მთელ სახელმწიფოსი,—ასეთი იყო წარმატების გზა, რომელსაც უნდა დასდგომოდა რუსეთი, რათა ევროპის სახელმწიფოებს დასწეოდა კულტურულად და აეცდინა თავიდამ მომავალში მოულოდნელი, უფრო თავ-ზარ დამცემი უბედურება და, ვინ იცის, იქმნება მთლად დარბევა და დაღუპვაც ახალ ცხოვრების აუცილებლობა ყველას წარმოუდგა თვალწინ,—მოწინავე და შეგნებულ საზოგადოებას და მასთან ერთად მთავრობასაც. საჭირო იყო მხოლოდ გარკვევა და ნათლად შეგნება იმისი, თუ რაა სამართლიანი ცხოვრება ყველასი, რომელი იურიდიული ნორმებია ყველაზე სამართლიანი, და აგრეთვე რა გვარად უნდა მოწესრიგებულიყო მკვიდრთა ეკონომიური ურთიერთობა, რა მიმართულება უნდა მისცემოდა სახელმწიფოს ეკონომიურ ძალთა განვითარებას, რათა ესეც სამართლიანი გამომდგარიყო უმრავლესობისათვის და მთელი სახელმწიფოც გაეღონიერებინა ნივთიერად. და, აი, სწორედ ამ საკითხების გადაჭრამ გამოიწვია განხეთქილება და აზრების ორგვარობა იმ დროის შეგნებულ საზოგადოებაში. უმრავლესობა თხოულობდა ევროპის მოწინავე სახელმწიფოთა პოლიტიკურ წესწყობილების, კანონმდებლობის და ეკონომიურ ურთიერთობის შემოღებას; უმცირესობა-კი, საუკეთესო გონებრივი ძალა, მწერლობის და ინტელიგენციის ერთი წილი, ასეთ პირდაპირ შემოღების სარგებლობას ეჭვის თვალით უყურებდა და სცდილობდა დაემტკიცებინა ყველასათვის, რომ განათლებულ ევროპაშიც არაა ყველაფერი კარგი და სამართლიანია, რომ იქაც ბლომადაა უსწორ-მასწორობა, ცხოვრებას იქაც მოელის გასწორებაო; ამიტომ იქაურ წეს-წყობილების შემოღებაში ზოგი რამ უნდა შეიცვალოსო. უპირველეს ყოვლისა კი იმ ქვეყნების ეკონომიურ ურთი-ერთობის შემოღებას უნდა მოვერიდოთ ჩვენში, იქაურ წარმოების ფორმებსაო. ამ უმცირესობას წინ უძღოდა მსჯელობაში სახელ განთქმული მწერალი, დაჭერი შენიშვნებისა მილლის პოლიტიკურ ეკონომიაზე და ავტორი წერილებისა „Критика философскихъ предубѣжденій противъ общиннаго владѣнія“ და „Эконом. дѣятельность и законодательство“. თვის მსჯელობას ევროპიელთა ცხოვრების ეკონომიურ წყობილების უვარგისობისას ეს უმცირესობა ასაბუთებდა ჯერ ერთი იმით, რომ ეს წყობილება უმრავლესობას თანა და-თან ალარიბებს და ღატაკად ჰქმნის, ქვეყნის სიმდიდრეს კი უმცირესობის ხელში აგროვებსო; და მერე კიდევ იმით, რო რუსეთის ხალხს დიდი ხანია რაც თავისი ფორმა აქვს შექმნილი ეკონომიურ წყობილებისა, ბევრად უკეთესი, ერთად-ერთი სამკვიდრო და გამძლე,—община, ან საზოგადო მფლობელობა მიწებისა. ხსენებული ავტორი, წინამორბედი რუსეთის აწინდელ მარქსისტებისა, ჰეგელის ტრილოგიითაც კი სარგებლობდა იმის დასამტკიცებლად, რაც თავის-თავად ცხადი უნდა ყოფილიყო ამ საკითხის გარკვევაში,—რომ რუსული община, საზოგადო მფლობელობა მიწებისა და სხვა საწარმოო საღსართა, ეს პირველი სოციალური საფეხური ეკონომიურ წყობილებისა, აუცილებელ შედეგად უნდა მოჰყვეს, როგორც უკანასკნელი ფორმა განვითარებისა, ევროპის კაპიტალისტურ წარმოებასაო.

(შემდეგი იქმნება)

ჟამთა ვითარებისაგან ინგრევა და ილეწება თვით მკვიდრი შენობანი, ძვირფასი მატურები, იკარგება და ისპობა ხელთნაწერები, სიგელ-გუჯარნი, რომელთა გაქრობა და განადგურება ამასთანავე შეუძლია ისეთს მტერს, ვითარიც არის ცეცხლი.

მარტო ბეჭდვას შეუძლია მთელი ეს ძვირფასი საუნჯე, ქართლის-ცხოვრებისაებრი მასალა, გადაარჩინოს ყოველსავე ხიფათსა და ფათერაკს, მარტო ბეჭდვით შეიძლება დიდისა და საუკუნო ძეგლის აგება და მით უკვდავ-ყოფა იმათი, რომელთა «სახენი სჩანან ნათელნი წარსულთა ძველთა საუკუნეთა».

ჩვენის აზრით, ამ საქმეს ეხლავე უნდა შევუდგეთ.

საქართველოს რუსეთთან შეერთებიდგან ასის წლის შესრულების მოსაგონებლადა და სახსოვრად თავად-აზნაურობას გადაეწყვიტა ცალკე კრებულის გამოცემა. ვფიქრობთ, იმაზედ კარგი ძეგლი რაღა იქნება, რომ კეთილშობილთა აწინდელმა თაობამ — ამერეთ იმერეთისამ — დაბეჭდოს სრული ცნობები შესახებ თავისს მამა-პაპათა.

ასეთი წიგნი აინაზღაურებს მასზე დახარჯულს ფულსაც: კეთილშობილთა ყოველს ოჯახს მიეცემა შეძლება შეიძინოს ეს წიგნი და გაიცნოს ჭეშმარიტი ცნობები შესახებ თავისს წინაპრებისა, და იგივე შეიქმნება ერთ უმთავრეს წყაროდ საქართველოს ისტორიისათვის.

მ. ჯანაშვილი.

## ჩვენებური ამბები

**ერწო.** (თიონეთის მაზრა). ერწოში, როგორც მოგეხსენებათ, არის ძველი ეკკლესია წმ. არჩილისა. ეს ეკკლესია შეაკეთეს ცოტათი ამ რამდენიმე წლის წინეთ და მას შემდეგ იქ დაბინავდნენ ქართველი მონოზნები (3—4 ქალი). აქამდის ცხოვრობდენ მშვიდათ, მყუდროთ თავიანთვის. მხოლოდ ამ დღეებში გავრცელდა ხმა ერწოში, რომ აქვე მოდიან საცხოვრებლად რუსი მონოზნები და, მგონი, თითონ დედა მარიამს (ქართველ მონოზნების უფროსი) მოუხერხებია ეს საქმე. იმათ ელოდნენ ოთხშაბათს, 9 თიბათვეს, და, არ ვიცი, მივიდნენ თუ არა. ეს ამბავიც გზათ გამოვლილმა გავიგე საბადურში.

ერწოელები ძალიან შეწუხებულები არიან უპურობით. თითქმის ყოველი კომლი ყიდულობს ნახევარ და თითო ფუთობით ფქვილს ადგილობრივ დუქანში—ფუთს 1 მან. 40 კაპ., ან ქალაქიდან ეზიდებიან აგრეთვე თითო ფუთობით. ერწოსკენ მიმავალი ურმები რომ ნახოს კაცმა, გაუკვირდება: ყველა ურმებზედ უეჭველად ერთი ტომარა ფქვილი გდია. მომეტებულ შემთხვევაში ნაკლული. მომავალ მოსავლის იმედი კი აქვთ, პირი კარგი უჩანს. საქონლისათვისაც ბალახი იქმნება საკმარისი იყოს.

მგზავრი.

**სოფ. ადზუბჟა.** (აფხაზეთი, კოდორის ნაწილი, სოხუმის ოლქი). აპრილში გაზაფხულის მშვენიერი მზიანი დღეები იყო. თებერვალმა და მარტმა კი სწორედ ჯვარს გვაცვა გადაუღებელ წვიმებითა. ახლა სამაგიეროდ თავისუფლად ამოვისუნთქეთ. აპრილშივე აღყვავდა არე-მარე.

სოფლელნი მხნედ შეუდგნენ მიწის გაკაფვა დამზადებას დასამუშავებლად.

აქეთ ერთად ერთი გზა-ტკეცილი არი, რომლის საშუალებით მიმოსვლაა დასავლეთით ოჩამჩირესკენ და აღმოსავლეთით სოხუმისკენა. დასავლეთის მხარე ამ გზისა მდუმარებით გავიაროთ, ხოლო სოხუმისკენ მიმავალ გზაზე კი ორიოდე სიტყვა ვსთქვათ.

სწორედ გულს შემოგეყრება, როცა მოგაგონდება, რომ ამ გზით წასვლა მოგელის. სოფ. დრანდიდან დაწყებული მდინარე მაქარის ხიდამდე ჯოჯოხეთის გზაა. სულ ათის ვერსის მანძილია და ზედ საშინელი წუმპე და ტალახია: დილიჟნები რამდენჯერმე გადაბრუნდა და ამოსვარა მგზავრები.

მედილიჟნეებს რიგიანად აქვთ მოწყობილი თავისი დილიჟნები. მძლავრი ცხენებიცა ჰყავთ. მაგრამ, საუბედუროდ, ამ გზაზე, რა ნაირი დილიჟან-ცხენებიც უნდა გყავდეთ, მაინც ვერაფერს გახდებით.

კერძოდ არის ლაპარაკი, რომ ზაფხულში შეუდგებიან შეკეთებასაო. მაგრამ რა გამოვიდა, ნათქვამია: «პავლეს მოსვლამდე პეტრეს ტყავი გააძრესო».

აპრილის 4-სა მაქსიმოვის სახერხ ქარხნების მსახურთა და მუშათათვის ახლად აგებულ თეატრის შენობაში გაიმართა (ეს მერვეა) სცენის მოყვარულთა მიერ შინაური უფასო რუსული წარმოდგენა.

წარმოდგენას სასურველი რიცხვი ხალხისა არ დასწრებია. თეატრის დარბაზი ოთხასზე (დაესწრო ასამდე.) მეტ სულს იტევს. ქარხნის ხალხი აქ ორასამდე მეტია. ამათგანი ნახევრამდე ცოლ შვილიანია. ამასთანავე უნდა მოგახსენოთ, რომ არა ქარხნელებისთვინაც თეატრის „კარები ღიაა‘‘.

რა იყო მიზეზი ხალხის ნაკლებად დასწრებისა?

ზამთარში პირველი წარმოდგენა გაიმართა რუსულ-ქართული.

სცენაზე მოთამაშე ქართველებმა ქართველთაგანვე საჩუქრები მიიღეს-ვარდის თაიგულები. ზოგიერთ ვაჟბატონებმა ეს ვერ მოინელეს, ასტეხეს ერთი აურ-ზაური, შეიქმნა ერთი უშველებელი მითქმა-მოთქმა.. ზოგი ერთი «ნაზი არსებაც» ჩაერია და ორატორობდნენ: «ჯერ ჩვენებისთვის (რუსულ მოთამაშეებისათვის) უპირატესი პატივი უნდა გეცათ, მერე თქვენებისათვისო» და სხვა!!!?.. აშლილი «ნერვები» ჯერაც არაა დამშვიდებულა!...

რასაკვირელია, ამ შემთხვევის შემდეგ ზოგმა თავის თავი შეურაცხყოფილად იცნო და იმიტომაც აპრილის დამდეგს გამართულ წარმოდგენაზედ დასწრებაც არაფერი სასიამოვნო იყო მათთვის.

თეატრის და სხვა ამისთანა გასართობის დაარსებისათვის წინადაც ბევრსა ფიქრობდნენ, მაგრამ განხორციელება ვერ მოხერხდა. მხოლოდ როცა აქ მოვიდა ეხლანდელი მმართველი ქარხნისა ს. ნ. ანდრეევი, მაშინ კი მზრუნველობით და მხნეობით ყოველივე მოხერხდა: მმართველის დაუღალავ შრომის ნაყოფია, რომ ამ ჟამად მაქსიმოვის მსახურთ და მუშებს აქვთ საკუთარი თეატრის შენობა. ქარხნების «კრუჟოკს» აქვს საერთო ფულით შეძენილი გრამმაფონი «მონარქი» თავის ფირფიტებით, თვალთ-მაქცი ფარანი ბუნდოვანის სურათებითა. ეს გასართობი საგნები ჯერ-ჯერობით სამას მანეთზე მეტი უზით. ყოველ კვირა-უქმე დღეში შინაური უსასყიდლო «საღამოები» იმართება. თეატრს აქვს კოხტა სცენა. სიგრძით ხუთი ადლია, სიგანით—სამი, ორ ნაირი დეკორაცია აქვს. მშვენიერ ფარდაზედ დახატულია კავკასიონის მთები ზღვის ნაპირითა. ზღვის ნაპირას ახლო ველზე კოხტა, ნაზი არსება, ბუნების შვენებით გაცაცებული ვარდებსა ჰკრეფს და თანაც ხელში უჭირავს დიდი ყვავილების გვირგვინი. ამ ფარდას ხელოვნური შვენება მისცა შემთხვევით აქეთ მხარეს მყოფმა მხატვარმა გოლუბინმა და თავისი შრომა ამ სიმპატიურ დაწესებულებას უსასყიდლოდ შესწირა.

ა. ტ.

## რუსეთი

ბობრიკოვის მოკვლის გამო ყველა გაზეთი მწუხარებას აცხადებს და ზიზღით იხსენიებს მკვლელს, «ნოვ. ვრ.“ სცდილობს საზოგადოებას აუხსნას მიზეზები ამ ბოროტ-მოქმედებისა და ფინლიანდიის საქმეთა მდგომარეობა გამოარკვიოს. გაზეთი სწერს: „ეჭვს გარეშეა, რომ ბობრიკოვის მოკვლა პოლიტიკური ბოროტ-მოქმედებაა. ის მოჰკლეს, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც მედგრად იცავდა რუსეთის იმპერიის ინტერესებს ამ ქვეყანაში. ეს გარემოება საკმაოდ ახასიათებს ამ საზიზღარ ბოროტ-მოქმედებას. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. როგორი დრო ამოირჩია მკვლელმა ფინლიანდიაში ხელმწიფე იმპერატორის წარმომადგენლის მოკვლისათვის?! ისეთი დრო, როცა სახელმწიფოს დიდად ეჭირვება შეკავშირებული მოქმედება, როცა იმპერიის ყველა ნაწილი თანხმობითა და ერთობილის ძალღონით უნდა გაუმკლავდეს ძლიერს გარეშე მტერს...

«ხუთ წელიწადზე მეტია, რაც ბობრიკოვი ფინლიანდიაში მოღვაწეობდა. მისს მოქმედებას თვალსაჩინო შედეგი მოჰყვა: რუსეთის პოლიტიკურმა პროგრამამ საგრძნობლად გაიმარჯვა ფინლიანდიაში. ბობრიკოვის მოქმედებამ პოზიციები წაართვა იმ უკიდურესს სეპარატისტებს, რომლებიც ფინლიანდიის განთავისუფლებას ჰფიქრობენ. რაკი ამ სეპარატისტებს ნიადაგი დაეკარგათ და აშკარა ბრძოლით ვერაფერი გააწყეს, ფარულ სარევოლიუციო მოქმედებას მიჰმართეს. ჯერ პროპაგანდასა და აგიტაციას მიჰყვეს ხელი და ახლა ტერრორსაც აღარ ერიდებიან. ამ მოქმედებით ფინლიანდიის პატრიოტებმა ნილაბი აიხადეს და ჩვენც დარწმუნებულნი ვართ, რომ რუსეთის მთავრობა ძირიანად ამოთხრის ფინლიანდიის რევოლიუციას.

ამავე გაზეთის კორესპონდენტი, რომელიც ერთის თვის წინად ჰელსინგფორსში ყოფილა გენ. ბობრიკოვთან და უსაუბრნია მასთან ფინლიანდიის შესახებ, გენერალ-გუბერნატორს უთქვამს კორესპონდენტისათვის:

ფინების უმრავლესობა შედარებით წყნარად არის ჯერ, მაგრამ შვედებმა გაგვიჭირვეს საქმე. მათი მოძრაობა ძლიერია. შვედომანების დასი აღელვებს და აქეზებს ხალხს რუსების წინააღმდეგ; ამისათვის არავითარ საშუალებას არ ჰზოგავს. შვეციიდან მრავლისაგან უმრავლესი პროკლამაცია ვრცელდება ფინლიანდიაში. რამდენადაც შეგვიძლია, ვებრძვით ამ აგიტაციას, მაგრამ რას იზამ: ნამდვილი ასთავიანი დევია—ერთ თავს რომ მოსჭრი, მის ალაგას რამდენიმე თავი გამოებმება. ძველ-ფინომანთა დასი სანდობია, მაგრამ ახალი ფინომანები იგივე შვედომანები არიან, და პოლიტიკურ ბრძოლის მომხრენი... განსაკუთრებით ჰელსინგფორსი არ მაძლევს მოსვენებას არც დღე, არც ღამე. ვმუშაობ გათენებიდან შუაღამემდე, ვიდრე მთელი ქალაქი არ დაიძინებს. ოჰ, ეს ქალაქი! იგი ბუდეა ყოველგვარ უთანხმოებისა და მღელვარებისა...

ფილნიანდელებს, ასე გასინჯე, უხარიანთ, როცა იაპონელთა გამარჯვების ამბავი მოდის, და სწუხან, თუ ჩვენი გამარჯვება გაიგეს. ფინნები ისე არა, ამათგან თანაგრძნობის გამოცხადებაც იყო და შესწირულებაც; ხოლო შვედები სულ სხვანაირად იქცევიან. მათ სცადეს ჩვენს წინააღმდეგ დემონსტრაციების გამართვა, მაგრამ დროზე ღონისძიების მიღებით დავაწყნარეთ. როგორც ჰხედავთ, ქუჩებში მშვიდობიანობა და სიწყნარეა, გესმით—«ქუჩებში», მაგრამ რა ჰხდება სახლებში, ვინ იცის?! ჰელსინგფორსის სახლები საიმედო არ არის... რაღა ბევრი გავაგრძელო, მძიმე დრო დაგვიდგა რუსებს განაპირა ქვეყნებში; პოლიტიკა გართულდა და ჩვენი მდგომარეობა იქ გაძნელდა. განაპირა ქვეყნებს კიდევაც უნდა დავუთმოთ და ამავე დროს დათმობაც საშიშია. აი, სად არის სიძნელე».

კორესპონდეტი წასულა ჰელსინგფორსიდან და ფილიანდია მოუვლია. მოგზაურობას სრულიად დაურწმუნებია, რომ ბობრიკოვის ნალაპარაკევი გაზვიადება არ არის და ასე მოგვითხრობს:

«ხანგეს, აბოს, ნიკოლაიშტადს, ტამერფორს და ფილიანდიის სხვა ქალაქებში და ყველგან სამწუხარო ამბები დამხვდა..' აბოში მცხოვრებმა რუსებმა მითხრეს: «შვედები აღელვებენ ხალხს და პოლიტიკურ თათბირისათვის კრებას კრებაზედ ჰმართვენო. კლუბებსა და რესტორანებში მხოლოდ პოლიტიკაზეა სჯა-ბაასიო; ფინნები მძიმე ხალხია და თავდა-პირველად აგიტატორებს არ აჰყვნენ, მაგრამ ახლა ისინი თანაუგრძნობენ მოძრაობას, ასე რომ ამ ჟამად აქ ყველანი ჩვენი წინააღმდეგნი არიანო». ნიკოლაიშტადში რუსთა წინააღმდეგი მოძრაობა კიდევ უფრო ძლიერია; იქაურმა რუსებმა მიამბეს: «შვედები იმედოვნებენ, რომ რუსეთი სრულიად დამარცხდება. თვითონაც ინგლისის იმედი აქვთ; ერთის სიტყვით აქ ბრძოლა კიდეც დაიწყო, ჯერჯეროբით უიარაღო. ასეა ყველგან, სადაცკი მე ვიყავი; ყველა მხრიდან სამწუხარო ამბები მოდის. მაშინ მივხვდი, რას ნიშნავდა ბობრიკოვის სიტყვები —ძნელი დრო დაგვიდგაო; ეს სიტყვები იყო სასოწარკვეთილებით დატანჯულ გულის კვნესა.

## ხარკვევი

«ვესტ. ზნანია»-ში ჩვენშიაც ცნობილი რადციგი, რომელიც რკინის-გზის კომერციულ აგენტათ იყო და კახეთის ეკონომიური მდგომარეობა გამოიკვლია, სწერს რუსეთის საგარეო ვაჭრობაზედ და ამტკიცებს, რა ზარალიც მოაქვს ხალხისათვის დღევანდელ სადამოჟნო ტარიფსა და ბაჟებსა. ავტორის აზრით, მეტად დიდი ბაჟებია დაწესებული იმ ყოველგვარ საქონელზედ, რომელიც უცხოეთიდან მოდის. ჩაი, ყავა, კაკაო და, ასე გაშინჯეთ, სელიოდკის თევზზედაც-კი ისეთი ბაჟია დაწესებული, რომ ხალხს უჭირდება მათი ყიდვა და მათი ხმარება საზრდოდა. კაკაო, ვთქვათ, მდიდრების სასმელია, მაგრამ ჩაისა და მეტა რე სელიოდკას უფრო ღარიბი და მდაბიო ხალხი ხმარობს სასმელ-საჭმელადა. ერთის ფუთის ჩაის ბაჟი ევროპის სამზღვარზედ ადის 31 მ 50 კაპიკამდე. გირვანქაზედ 80 კაპ. მოდის. მდიდარს ინგლისში-კი ეს ბაჟი არ აღემატება $2\frac{1}{2}$ კაპიკს. დაბალ ხარისხის ერთ ფუთ სელიოდკაზედ ბაჟი სამი აბაზია, მაშინ როდესაც ფუთი სულ ღირს სამზღვარზედ მანეთ-ნახევარი.

სხვა საქონელზედაც, რომელიც შემოდის რუსეთში, დიდი ბაჟია დადებული. ამიტომ ავტორი ამბობს თავის წერილის ბოლოს:

ბაჟის გამო საქონელი ნაკლებად შემოდის რუსეთში. ჩვენს საქონელსაც ამიტომ ნაკლებად ყიდულობენ სამზღვარ-გარეთელნი. რაც უფრო ძრიელ ჩავკეტავთ კარს და ნაკლებად შემოვუშვებთ საქონელს, მით უფრო გაძნელდება ჩვენის საქონლის გასაღებაც, მით უფრო ძრიელ უნდა გავაიაფოთ, რადგან ის სახელმწიფონი, რომელთა საქონელსაც ბაჟს ვადებთ, თითქმის აღარ ყიდულობენ ჩვენს საქონელს, თუ თქვენ აბრკოლებთ ჩვენს საქონელს, ჩვენც დავაბრკოლებთ თქვენსასო. ჩვენ იქ ვიპარებით, სადაც ჩვენს საქონელს ბლომად ყიდულობენო.

რადციგი ასე დაასკვნის თავის აზრს:

ჩვენი გარეშე ვაჭრობა არ შეიძლება შესამჩნევად გაძლიერდეს იმ დრომდე ვიდრე დღევანდელი სადამოჟნო ტარიფი მუშაობს. უცხოელნი არ გვეტანებიან, იმიტომ რომ იციან, ჩვენ რომ ვიყიდოთ, სამაგიეროდ ისინი არ იყიდიან ჩვენს საქონელსაო. იმედი ვიქონიოთ, ჩვენი კანონმდებელნი განიმსჭვალებიან ბოლოს მაინც იმ რწმენით, რომ მარტო ბაჟებით არ შეიძლება გაძლიერება ქვეყნის წარმოებისა და რომ განგებ მოხერხებული გაძვირება ცხოვრებისა ასუტებს ხალხის დონეს საქონლის ყიდვისას და მით ჰბადავს წარმოების შემცირებას. ჩვენი გარეშე ვაჭრობა გაძლიერდება მხოლოდ მაშინ, როცა თავიდან მოვიშორებთ ან შევასუსტებთ სამზღვარ გარეთიდან საქონლის შემოტანის დაბრკოლებას, იმიტომ რომ მხოლოდ მაშინ იმატებს გაზიდვა გარედ ჩვენის საქონლისაცა და გაძლიერდება საერთოდ საგარეო აღებ-მიცემაც.

## თეატრი და ხელოვნება

**ქ. ოზურგეთი.** 6 ივნისს აქაურ სცენის მოყვარულთა დასმა წარმოდგენა გამართა. ითამაშეს ა. ცაგარლის „ხანუმა“. წარმოდგენამ მწყობრად და მხიარულად ჩაიარა, თუ ზოგიერთ შეცდომას არ მივაქცევთ ყურადღებას, რაიცა ჩვეულებრივი მოვლენაა სცენის მოყვარულთა თამაშობაში. განსაკუთრებით ყურადღება მიიქცია ქ-ნ ატატო ბებურიშვილმა (ხანუმა), რომელიც რამდენჯერმე გვინახავს ამ როლში და ყოველთვის დიდ სიამოვნებას იწვევს საზოგადოებაში მისგან ამ როლის ხელოვნურად ასრულება, რომელიც მრავალო ტაშის ცემით და «ვაშას“ ძახილით დააჯილდოვეს... ბ-ნი წუწუნავა კარგი «აკოფა» იყო. ქ. ბ-ნი ევ. წუწუნავა (ქაბატუა) ამ მის შესაფერ როლს რაღაც უგულოდ თამაშობდა, მაგრამ მაინც არა უშავდა-რა. დანარჩენებს, რომლებშიაც რამდენსამე პირველად ვხედავთით სცენაზე, ანსაბლი არ დაურღვევიათ...

საზოგადოება ბევრი დაესწრო წარმოდგენას, რომელმაც ბოლომდე სიცილხარხარში გაატარა საღამო.

უსუფ-აღა.

## დეპეშა

(რუსეთის ცეპეშათა სააგენტოსაგან)

11 ივნისი.

**პეტერბურგი.** უქვეშევრდომილესი დეპეშები მანჯურიის ჯარების სარდლისა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა; პირველი 9 ივნისის თარიღით ღამის 3-სა ათსა და 40 წუთზე: «6 და 7 ივნისს თერთმეტ ვერსზე, სამხრეთად სენიუჩენიდგან, ზღვის ნაპირიდან ერთობ ძნელად გასავლელ მთიან ადგილზედ, რკინის გზის აღმოსავლეთად, მოდიოდა მოწინავე რაზმები მტრისა. გასავალი ადგილები და უღელტეხილებიც ძალიან დაცული აქვს მტერს და თვალყური უჭირავს. 7 ივნისს დილის ხუთი საათიდან შევნიშნეთ მოძრაობა მტრის დიდძალ ცხენოსან მზვერავ რაზმისა, რომელსაც შესაწევრად ქვეითნიც ჰყავდა, აგრეთვე შევნიშნეთ წინ სვლა იაპონელთა ცხენოსნისა და ქვეითა ჯარისა; სროლის დროს ჩვენ ზარალი არ მოგვცემია; იაპონელებს კი რამდენიმე კაცი მოუკვდათ და დაეჭრათ. ამას გარდა შევნიშნეთ, რომ სამხრეთით ვაძი-პუძადან მტერი ძლიერდება სოფლებ მანძი-პუძთან და ხატკაბეისთან, ამ უკანასკნელ სოფელთან იაპონელნი სიმაგრეებს აკეთებენ. სიუიანიდან გაიჯოუსაკენ 7 ივნისს მტერმა დაიჭირა მოწინავე რაზმებით ჩრდილეთის გზაზე უღელტეხილი პანდზიაბეისა და პანჩანიუს შორის, 25 ვერსზე აღმოსავლეთად სიახოტანიდან; სამხრეთის უღელტეხილიც ჩაპანლანი 12 ვერსზე სამხრეთად სიახოტანიდან. 6 ივნისს ჩინელმა ბოროტ-განმზრახველებმა დასჭრეს ორი ყაზახი მფრინავ ფოსტისა. საიმაძიდან აღმოსავლეთად, უღელტეხილზე, კუანდრენისკენ მიმავალ გზაზე, იაპონელნი სიმაგრეებს აგებენ და დასდგეს კიდეც აქ 18 ზარბაზნამდე. მტერს 40 ვერსზე საიმაძიდან სოფ. საპანგაიში დიდი სიმაგრე აქვს, სიმაგრეს აძლიერებს თხრილებითა.»

მეორე დეპეშა დილის 6 საათსა: «იაპონიის ლაშქარი ცინჯოუდან თანდათან მოიწევს ჩრდილოეთად. კუროკის ლაშქარის მოძრაობა სიუიანიდან შესდგა, უთუოდ იმიტომ, რომ მწყობრად დააწყოს ორივე ლაშქრის მოწინავე რაზმები. მტრის მოწინავე რაზმები ერთ დივიზიამდე იქმნება რამდენისამე ესკადრონითა, და სამხრეთის მხრივ ცხრა ესკადრონი და ძლიერი ქვეითი ჯარიც მოდის იმათ მხარის დასაჭერათ».

დეპეშა გენერალ სახაროვისა უმთავრესს შტაბში 9 ივნისის თარიღით: «8 ივნისს დილის 8 საათიდან იაპონიის მოწინავე რაზმებმა კვლავ დაიწყეს წინ წამოწევა რკინის გზის ორთავე მხარესა სენიუჩენის სამხრეთად. ჩვენმა ცხენოსანმა მზვერავებმა მძიმედ დაიწიეს სენიუჩენისა და გაიჯოუსაკენ, რადგან მტერი მოაწვა. შუადღისას სენიუჩენისაკენ წამოვიდა მტრის 9 ესკადრონი ბატარეითა და კარგა ბლომად ქვეითა ჯარითა; შემდეგ სხვა ჯარებიც გამოჩნდა და საღამოთი იაპონელებმა დაიჭირეს სენიუჩენი, სულ იყვნენ ერთ დივიზიამდე ქვეითა ჯარი, ცხენოსანთა ბრიგადა 32 ზარბაზნითა. როგორც ჩვენმა მზვერავებმა და ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გვაუწყეს, უღელტეხილ ჩაპანლინის სამხრეთად ერთ დივიზიამდე ჯარია მტრისა. ჩაპანლინის უღელტეხილიდან ტანჩიმდე 9 ივნისის დილამდე იაპონელებს აღარ წაუწევიათ წინ. სიუიანიდან სიახოტანისაკენ მტერს უღელტეხილი უჭირავს. მზვერავთა მოხსენებით, კუხანზთან სიუიანიდან მისულა საკმაოდ დიდი რაზმი. 9 ივნისს დილით მტრის ერთმა ბატალიონმა, ბურუსიანი დარის წყალობით, განიზრახა ჩვენის ავან-პოსტის თავდასხმაც, მაგრამ დროზე შევიტყეთ და იაპონელნი, რომელთაც ჩვენმა მოწინავე როტებმა გუნდ-გუნდათ დაუწყეს სროლა, უკუ აქციეს ზარალითა სიუიანისაკენ. ჩვენ ერთი მსროლელი დაგვიჭრეს. 6 ივნისს საღამოთი იაპონელების ერთმა ბატალიონმა ესკადრონით დაიჭირ ჩილინძი მდინარე პაოხეს ხეობაში 3 ვერსზე ჩრდილოეთად ფინხუანჩენისა.

გენერალ-ლეიტენანტი ანდრეევი დაინიშნა პრიამურს სამხედრო ოლქის ჯართა უფროსის თანაშემწეთ.

**ტოკიო.** («ვოლფის სააგ»). ოფიციალურად. იაპონიის ლაშქრის რაზმმა ლიაოდუნის ნახევარ კუნძულზე დღეს დაიჭრა სიუნიაჩენი, 25 ვერსზე გაიჯოუდან სამხრეთ-აღმოსავლეთად.

**ლონდონი.** (რეიტ. სააგ.). დანამდვილებით იუწყებიან, რომ იაპონელები ამ ჟამად განსაკუთრებულს გამრჯელობას ვერ იჩენენ პორტ-არტურის არე-მარეს. როგორც სჩანს, რუსნი დარწმუნებულნი არიან, რომ მეციხოვნეთა რაზმს, რამდენადაც საქმე შეეხება სურსათსა, გულდამშვიდებით შეუძლიანთ აიტანონ ციხის გარშემოდგომა და ალყის შემორტყმა,

გენერალი კუროპატკინი, როგორც ეტყობა, თვით ესწრობა ყველგან. ვა-

ფანგოუს ბრძოლის შემდეგ თავის თვალით დაათვალიერა შუბლის ადგილი ჯარისა და მთლად ველი ომისა, იაპონიის ორივე ლაშქარი, იმ ჯარების მომხრეობით, რომლებიც ჩრდილოეთად სდგანან, ლამის საცაა შეეერთდნენ და ერთობილის ძალით მიიტანონ იერიში მტერზედ. იაპონიის ის ჯარნი, რომელნიც 3 ივნისიდან ლიაოდუიანის სანაპირო ადგილებში სდგანან, შევიწროებულნი არიან თქეშებისაგან. თქეში და ნიაღვარი უშლის, სამხედრო ოპერაციებს შეუდგნენ.

**სტამბოლი.** („კორ. ბიურო“) პორტამ დაუგზავნა ოსმალეთის საელჩოებს დეპეშები და აუწყა საქმეთა ვითარება ბითლისის ვილაიეტში. კერძო ცნობანი მოვიდა ბითლისიდან, რომ მუშს დაწესდა სამხედრო სასამართლო დამნაშავე სომეხთა განსაკითხველად. მთებში გახიზნულნი სომეხნი ახლა უკან ბრუნდებიან.

**ტვერი.** უსასყიდლო საარქეოლოგიო კურსებმა, რომელიც უკვე დასრულდა, დიდი ინტერესი გამოიწვია; ჩაეწერა 1,015 მსმენელი. ზოგიერთ ლექციას ესწრებოდა 800-დე კაცი. წაკითხულ იქმნა 33 ლექცია.

**ბაქო.** დილის 10 საათზედ თავის კანტორიდან მომავალ მილიონერ-კომერსანტს არტემ ივანეს ძეს ადამოვს თავს დაესხნენ მიხეილის ბაღში სამნი უცნობნი ბოროტ განმზრახველნი ‡ ხანჯლებითა და რევოლვერის სროლით იქვე გაათავეს. ადამოვს მიეშველნენ და ამიტომ დაჭრილ იქმნენ ტყვიით პოლიციელი და ბაღის დარაჯი.

11 ივნისი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა 7 ივნისს უმაღლესად უწყალობა სანაქებო განკარგულებისა და სიმამაცისათვის იაპონიის ზღვაში თარეშობისა და იაპონიის სამხედრო ტრანსპორტის «კინშამარუს» შეპყრობის დრო'ა, კონტრ-ადმირალს იესსენს სტანისლავის ორდენი პირველის ხარისხისა ხრმლებითა; 1-ლ რანგის კაპიტანს—კომანდირებს კრეისერებისას «ბოგატირისას» სტემანს ხრმლები ვლადიმირის ორდენის მესამე ხარისხისათვის, «გრომობოისას» დაბიჩს და «როსსიისას» ანდრეევს მეორეს—ორდენები ვლადიმირის მესამე ხარისხისა ხრმლებითა. საგანგებო მამაცობისა და ვაჟკაცობისათვის ნაღმების ჩაწყობის დროს იმ გზაზე, სადაც იაპონიის ფლოტი დადიოდა პორტ-არტურის ახლო, რის გამო მტრის ორი ჯავშნიანი გემი დაიღუპა, კომანდირს ტრანსპორტ «ამურისას», კაპიტანს მეორე რანგისას ივანოვს მეექვსეს გიორგის ორდენი მეოთხე ხარისხისა.

ხელმწიფე იმპერატორმა ყოვლადუმოწყალესად ინება და დაამტკიცა ნამესტნიკისაგან დანიშნული ჯილდოები თავგანწირულებისათვის, რომელიც გამოიჩინეს 31 მარტს პორტ-არტურთან ბრძოლაში: ფლიგელ-ადიუტანტს გვარდიის ეკიპაჟის მეორე რანგის კაპიტანს დიდს მთავარს კირილე ვლადიმირის ძეს—ოქროს ხრმალი წარწერით «სიმამაცისათვის», პირველ რანგის კაპიტანს იაკოვლევს პირველს, ოქროს ხრმალი წარწერით «სიმამაცისათვის», ლეიტენანტებს უსკოვსკის 1-ლს, იენიშს პირველს ორდენები ანნასი 3 ხარისხის ხრმლებითა და ბანტითა, მიჩმანს შლიპპეს—ორდენი ანნასი 4 ხარისხისა წარწერით «სიმამაცისათვის».

ხელმწიფე იმპერატორმა 31 მარტს უმაღლესად ბრძანა 5 ნაღმოსანი, რომელიც ბალტიის ქარხანაში მზადდება, 5 ნაღმოსანი, რომელიც ნევის გემთ-ასაშენებელ ქარხანაში მზადდება, ჩაირიცხონ გემთა სიებში და დაერქვათ სახელებად: «კუსატკა», «სკატი», «მაკრელი», «სტერლიადი», «კალმახი«, «ზუთხი, «ორაგული», «თართი», «ლოქო», «შჩუკა» შარშან ბალტიის ქარხანაში გაკეთებულს ნაღმოსანს № 150-ს დაერქვას სახელად «დელფინი».

**ლონდონი.** (რეიტ. სააგ.). მეფე ედუარდი კილს წავიდა.

**ბლაგოვეშჩენსკი.** მოიყვანეს მეორე წყობა ტყვეებისა, რომელიც შაიპყრეს სახალინის ახლო, სათევზაო ნავზე.

**ლიაოიანი.** «ვესტნიკ არმიი» ბეჭდავს ვაფანგოუს ბრძოლის დაწვრილებულს აღწერას და აღნიშნავს ჩვენის მარცხენა ფრთედის ბრწყინვალე მოქმედებას გენერალ გენგროსის უფროსობით. გენგროსი ცნობილი დამცველია ხარბინისა ამას წინამდელ ომში ჩინეთთან. ჩვენის შეტევის გამო იაპონელთა მარჯვენა ფრთედი სასწრაფოდ ივლტოდა და თან რამდენიმე ზარბაზანი და ტყვიის-მფრქვევი დასტოვა ჩვენს ხელში. მოუსწრეს მაშველმა ჯარებმა და განსაცდელს გადაარჩინეს მარჯვენა ფრთედი. იაპონელებმა ზურგი გაიმაგრეს და მეორე დღეს კვლავ დაიწყეს ზედ მოსევა. ჩვენს მარჯვენა ფრთედზედ თავი იჩინეს 33 და 36 აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა პოლკებმა, რომელთაც გმირულად მოიგერიეს და თავი დააღწიეს მრავლად თავდასხმულს მტერს. მარცხენა ფრთედზედ პირველ ბრიგადის ყველა პოლკი საოცარის მედგრობით იბრძოდა. ზარალი დიდი მოუვიდათ თვითონაც და იაპონელებსაც დიდი ზარალი მიაყენეს. მართლდება ის ხმები, რომ უმეტესი ნაწილი იაპონელ ჯარის კაცთა და აფიცრებისა ნახევრად მთვრალი მიდის ომში, რათა უფრო გაბედვით იბრძოლონ. იაპონიის მოკლულ, ბრძოლის ველზე დატოვებულ და ყაზახთაგან ნაპოვნ ჯარის-კაცთა სალაშქრო მათარებში, წყალის მაგიერ, აღმოჩნდა იაპონური არაყი. როგორც ჩინელებმა გვიამბეს, ვაფანგოუს ბრძოლის შემდეგ იაპონიის ჯარის-კაცებს რამდენიმე ღამე დიდის ღრეობითა და ლოთობით გაუტარებიათ.—«ვესტ. არმიი» ჩვენს ყურადღებას მიაქცევს იაპონელების ცბიერება. როცა გაუჭირდებათ ბრძოლის დროს, აა ფრიალებენ საეროვნო ალმებსა, რომლებიც შორიდან წითელ ჯვრის ბაირაღებსა ჰგავს. ამის გამო მოწინაამდეგეც ანებებს თავს დროებით. თოფსა და ზარბაზნის სროლას. ბრძოლის ასეთის შეჩერების დროს იაპონელები ემზადებიან და უმეტესის ძალით უშენენ მოწინაამდეგეს ტყვიას. იაპონელები ბოროტად ხმარობენ თავიანთ დროშა-ალმებს და მით სახელს უტეხენ, ნდობას უკარგვენ თავიანთ წითელ ჯვარს.—ლიაოიანში ახლა კარგი დარია. რამდენიმე დღეა, ძლიერ ცხელა, უბერავს ცხელი, ძრიელი ქარი და მოაქვს ბურუსივით მტვერი. წვიმები შესწყდა.—თუმცა შტატი მომატებულია, მაინც ლიაოიანის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას აუარებელი მუშაობა აქვს.

**ადენი.** გამოცხადდა, რომ ადენი საშიში აღარ არის შავის ჭირის მხრივაო.

**ჩიკაგო.** (რეიტ. სააგ.). რესპუბლიკის საეროვნო კონვენტმა ერთხმად გამოაცხადა რუზველტი პრეზიდენტის კანდიდატად, ხოლო სენატ ორი ფერბენსი—ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატად.

**სტამბოლი.** ბითლისის ვალი იწერება დეპეშით, რომ მუშის ხეობაში მოჰხდა ბრძოლა სომეხთა ჯუფთთანა და 11 კაცი იქმნა მოკლული მეჯუფთეთა შორისაო.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგნი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

8 ივნისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში | 45,96 |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 95,55 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,50 |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 91½ ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 87 მყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 373 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 291 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 255½ წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | 88½ ნის. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |


# განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი
ს. ბ. თოფურიას
## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

საცხენისის პირველ-დაწყებით სასწავლებელში (სოფელ ყვარელშია) არის 45 თავისუფალი სახელმწიფო ვაკანსია ამიერ კავკასიის თავად-აზნაურთა და სხვა საპატიო წოდებათა შვილებისათვის. მიიღებენ ბავშვებს 8—10 წლისას.

მსურველთ თხოვნები უნდა მიართვან კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს; თხოვნასთან ერთად უნდა წარადგინონ აგრეთვე დაბადებისა, ჩამომავლობისა, სიღარიბისა და ექიმის მოწმობანი. (3—6—3).



ა მ ე რ ი კ ი ს
**ავტომობილები**
ბენზინით მოძრავი
**ველოსიპედები**
ბენზინის მატორებით.

Акц. О-во „ЭНФИЛЬДЪ“
МОСКВА, РОЖДЕСТВЕНКА № 9.

СПБ. Морская, № 30. (10—6—10).




**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**
**„ოდონპრიში“ მ. ვ. ლებედევის“**

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს-ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში —საათფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.




Feriencolonien. Colonie des vacances.

„პ ა ტ ა რ ა - ც ე მ ი“-ს

## საზაფხულო სამყოფი
ექიმის ვახტანგ დ. ლამბაშიძისა
## მოზარდ ქალ-ვაჟთათვის

ზედ ბაკურიანის რკინის გზაზედ, ბორჯომის მახლობლად, მთა-ადგილზედ, ფიჭვნარში, 4400 ფუტის, 1300 მეტრის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჭაობის ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება დასვენება, მოღონიერება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური. მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო და ყოველ-გვარი ვარჯიშობა წყლით ექიმობა და სხვ.

არ მიიღება მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ, მთაადგილს ყოფნა არ არგებს.

საზაფხულო სამყოფის ხანად არის დანიშნული **ორი თვე:**
15 ივნისიდგან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებით ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ანუ წერილობით შეიძლება მიმართონ ექიმს ვ. ლამბაშიძეს, თბილისს, ნიკოლოზ ზაის ქ. № 46. (15—15)

ს.-პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს კ ო მ პ ა ნ ი ა
## „ნ ა დ ე ჟ დ ა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთი, გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

**დაარსებულია 1847 წელს**

| | |
|---|---|
| მირითადი თანხა | 1.650.000 მან. |
| სათადარიგო თანხა | 2.664.808 მან. |

დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ტივებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა ფულისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას„**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—39)

საუკეთესო სააგარაკო ადგილები
## ზედ სურამის მახლობლად
მაღლობს და ტყით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ზომისა,
## ი ს ყ ი დ ე ბ ა
იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.

იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—6)

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვაცა და მშვიდებული იყვეთ **იყიდეთ,** მარტო 4 მან. 90 კაპ., საიუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი **„ენდოლიანსი“**, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. **„ენდოლიანსი“** აძინებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხეება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი **„ენდოლიანსი“**, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრედვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

**„ენდოლიანსი“** საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დაედებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მან. ბეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.

**განსაკუთრებითი ნაწარმოებია.** (5—6—)



Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи